

# ურთიერთგაგების მემორანდუმი

ქ. თბილისი

21/თბილისი/2017 წ.

საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ;

და

სს „კავკასიის მზის კომპანია“ (შემდგომში „კომპანია“) ს/კ: 404521978, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, გიორგი ბეჟუაშვილის მიერ,

დებენ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს (შემდგომში „მემორანდუმი“) შემდეგზე:

## 1. მიზანი

1.1. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ, ამ მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მზის მონაცემთა შესწავლა შემდგომში მზის ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების მიზნით წინამდებარე მემორანდუმის და მხარეთა შორის დამატებით შეთანხმებული პირობების მიხედვით (შემდგომში „პროექტი“).

## 2. პროექტის ვადები და პირობები

2.1. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის დანართით N2 გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყოფს:

ა) მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მემორანდუმის დანართი N2-ში მოცემული გრაფიკის შესაბამისად მზის მონაცემთა შესწავლას;

ბ) მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობასთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილების საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსთვის წარდგენას.

2.2. იმ შემთხვევაში თუ 2.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესრულების შედეგად კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება მზის ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის შესახებ, 2.1. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება უნდა შეიცავდეს:

ა) კომპანიის გადაწყვეტილებას შესაბამისი ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობაზე;

ბ) ელექტროსადგურ(ებ)ის დადგმულ სიმძლავრეს და საშუალო წლიურ გამოიმუშავებას;

- გ) ელექტროსადგურ(ებ)ის ადგილმდებარეობის ზუსტ კოორდინატებს;
  - დ) ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის დაწყების, მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციაში გაშვების თარიღებს, აგრეთვე თითოეული ელექტროსადგურისთვის განსახორციელებელი ინვესტიციის ოდენობას;
  - ე) მოპოვებულ მზის მონაცემებს და მასთან დაკავშირებულ სრულ დოკუმენტაციას;
  - ვ) წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული ვადითა და ოდენობით სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისათვის“ მისაყიდი ელექტროენერჯის ფასს.
- 2.3. კომპანიის მიერ 2.2 პუნქტის შესაბამისად წინადადების წარდგენიდან 5 თვის ვადაში სამინისტრო და კომპანია ერთობლივად განიხილავენ ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხს და შესაბამისი მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დასაბუთებულ ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულება“) პირობებს, რაზეც შეთანხმების შემთხვევაში, საკითხი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება მთავრობას, ხოლო ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობისა და ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე მთავრობის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მხარეები ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას.
- 2.4. კომპანია ვალდებულია მემორანდუმის 2.3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წარუდგინოს საბანკო გარანტია, ასაშენებელი ელექტროსადგურ(ებ)ის ჯამური დადგმული სიმძლავრის მიხედვით, ყოველი მეგავატისათვის 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ეკვივალენტის ევროში (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ პერიოდისათვის დადგენილი კურსის შესაბამისად) ოდენობით (შემდგომში „სამშენებლო გარანტია“). ამასთან, სამშენებლო გარანტია გაცემული უნდა იყოს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)“ წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. სამშენებლო გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის გამცემი ბანკის სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს.
- 2.5. მთავრობა, მემორანდუმის დანართით N2 გათვალისწინებული ვადის განმავლობაში კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გადასცემს დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მზის ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლებას სხვა პირს, გარდა 2.7 და 2.8 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 2.6. ხელშეკრულების დადების ვადის ამოწურვამდე მთავრობა არ გადასცემს სხვა პირ(ებ)ს დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მზის ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლებას,

რომლის მშენებლობაზეც კომპანიის მიერ მემორანდუმის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება და ამ მემორანდუმის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება შესაბამისი ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის შესახებ, გარდა 2.7 და 2.8 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.7. მთავრობა უფლებამოსილია 2.5. ან/და 2.6 პუნქტებით დადგენილი ვადის გასვლამდე კომპანიის თანხმობის გარეშე გადასცეს დანართი N1-ით განსაზღვრულ ტერიტორიაზე იმ ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების უფლებას სხვა პირს, რომელზეც (რომლებზეც):

ა) მთავრობას გააჩნია დასაბუთებული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ კომპანია ვერ უზრუნველყოფს დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მზის მონაცემთა მონაცემების მოპოვებას;

ბ) კომპანიამ უარი განაცხადა ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობაზე.

2.8. კომპანია ვალდებულია მოთხოვნისთანავე გადასცეს მთავრობას მის ხელთ არსებული დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მზის მონაცემები და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტები (მათ შორის მონაცემები) სრულად, უსასყიდლოდ, ექსკლუზიური საკუთრების უფლებით, თუ:

ა) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წინადადება არ იქნა წარდგენილი;

ბ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, მაგრამ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული შეთანხმება 2.3 პუნქტის შესაბამისად ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობის ან/და ხელშეკრულების პირობების თაობაზე;

გ) დადგა 2.7 პუნქტის შესაბამისი ნებისმიერი გარემოება.

2.9. ქვეყნის ელექტროენერჯით მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, ექსპლუატაციაში მიღებიდან ათი წლის განმავლობაში, კომპანიის მიერ წინამდებარე მემორანდუმის შესაბამისად აშენებული თითოეული ელექტროსადგურის, ყოველი წლის ზამთრის თვეებში (იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) („ზამთრის პერიოდი“) ფაქტობრივი გენერაციის სრული რეალიზაცია უნდა განხორციელდეს საქართველოში, ადგილობრივ ბაზარზე, რაც აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში, ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში.

2.10. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ წინამდებარე მემორანდუმი არ წარმოადგენს მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ასაშენებელი მზის ელექტროსადგურ(ებ)ის საქართველოს ერთიან ელექტროგადამცემ ქსელში დაშვების/მიერთების წინაპირობას ან/და არ გულისხმობს მთავრობის რაიმე სახის ვალდებულებას/დაპირებას დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ასაშენებელი მზის

ელექტროსადგურ(ებ)ის საქართველოს ერთიან ელექტროგადამცემ ქსელში დაშვებასთან/მიერთებასთან დაკავშირებით.

- 2.11. მზის ელექტროსადგურების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის (სიმძლავრის) საქართველოს ერთიან ელექტროგადამცემ ქსელში დაშვების/მიერთების შეზღუდული რესურსის გათვალისწინებით, მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ასაშენებელი მზის ელექტროსადგურ(ებ)ის ელექტროგადამცემ ქსელზე დაშვების/მიერთების საკითხი დარეგულირდება იმ პერიოდისთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს საქართველოს ერთიან ელექტროგადამცემ ქსელში დასაშვები სიმძლავრის განაწილებას სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

### 3. მიწის საკუთრების უფლება და მშენებლობის ნებართვა

- 3.1. პროექტის განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შესაბამისი მიწის ნაკვეთ(ებ)ის კომპანიისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრებაში გადაცემას, იმ პირობით, რომ კომპანიის მიერ სრულად იქნება დაკმაყოფილებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და პირობები.
- 3.2. მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღმოუჩენს კომპანიას სათანადო დახმარებას მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მიღებასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ კომპანიის მიერ სრულად იქნება დაკმაყოფილებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და პირობები.

### 4. პროექტის ხარჯები, ინფორმაციის მიწოდება

- 4.1. პროექტთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად გაიღებს კომპანია.
- 4.2. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის დადების დღიდან ვალდებულია კვარტალში ერთხელ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წარუდგინოს ანგარიში, რომელიც უნდა ასახავდეს კომპანიის მიერ ვალდებულებების შესრულების პროგრესს, რაც უნდა შეიცავდეს კონკრეტული კვლევის დასაბუთების შესახებ ინფორმაციას, მიღებული შედეგებს, გაანგარიშებებს, გათვლებს, პარამეტრებს, გამოყენებული მეთოდოლოგიებისა და სტანდარტების მითითებით. თუ აღნიშნული ანგარიში, მთლიანად ან ნაწილობრივ არ არის შესაბამისი ხარისხის, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო წერილობითი შეტყობინების მეშვეობით კომპანიას უსაზღვრავს დამატებით გონივრულ ვადას 3 თვემდე აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული დამატებითი დრო არ განაპირობებს 2.1. პუნქტით

გათვალისწინებული ვადის გაზრდას.

## 5. მემორანდუმის მოქმედება

5.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

5.2. მემორანდუმის მოქმედება შეწყდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) კომპანიამ დაარღვია მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ნებისმიერ ვადა;

ბ) მხარეთა შეთანხმებით;

გ) იმ ელექტროსადგურ(ებ)ის ნაწილში, რომელთან დაკავშირებით:

გ.ა) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად არ იქნა მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება - 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე;

გ.ბ) კომპანიის მიერ 2.2 პუნქტის შესაბამისად სამინისტროსთვის წარდგენილ იქნა წინადადება, მაგრამ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული შეთანხმება 2.3 პუნქტის შესაბამისად ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობის ან/და ხელშეკრულების პირობების თაობაზე - 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე;

გ.გ) მხარეთა შორის დაიდო ხელშეკრულება.

დ) თუ ადგილი ექნება 2.7. პუნქტის ერთი ან მეტი ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს შესაბამის ელექტროსადგურ(ებ)თან მიმართებაში - მემორანდუმის 2.5. ან/და 2.6 პუნქტებით დადგენილი ვადის გასვლამდე ნებისმიერ დროს;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.3. წინამდებარე მემორანდუმით კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მემორანდუმის მოქმედების და კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ აუქმებს 2.9. პუნქტით გათვალისწინებულ კომპანიის ვალდებულებებს.

## 6. ცვლილებები

6.1. წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. თუ მემორანდუმის რომელიმე დებულება ძალას დაკარგავს, ეს არ იმოქმედებს მემორანდუმის სხვა დებულებებზე.

## 7. შეტყობინება

7.1. მხარეების მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში, უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და გაიგზავნოს ფოსტით ან კურიერის მეშვეობით (ორიგინალთან ერთად). შეტყობინება შევა ძალაში დაუყოვნებლივ მიმღების მიერ მისი მიღებისთანავე.

8. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების მოგვარება

8.1. წინამდებარე მემორანდუმი დადებულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

8.2. ყველა დავა, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე მემორანდუმთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ასლები, მემორანდუმის ენა

9.1. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.

10. ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

სს „კავკასიის მზის კომპანია“

გიორგი ბეჟუაშვილი

დანართი N1

| ელექტროსადგურის<br>დასახელება  | ადგილმდებარეობა  | კოორდინატები   |
|--------------------------------|--|--|
| „ქსნის შზის<br>ელექტროსადგური“ | საქართველო, კასპის<br>მუნიციპალიტეტის<br>მიმდებარე ტერიტორია | X=459799.57 Y=4636087.16<br>X=465126.44 Y=4634292.48<br>X=459051.80 Y=4634347.62<br>X=464458.90 Y=4632560.06 |

დანართი 2

| ელექტროსადგურის დასახელება:<br>„ქსნის შპსის ელექტროსადგური“                           | თვეების რაოდენობა მემორანდუმის ხელმოწერის დღიდან |   |   |    |    |    |
|---|--|---|---|----|----|----|
|   | 3  | 6 | 9 | 12 | 15 | 18 |
| მზის ენერჯის მონაცემთა დამუშავება   |  |   |   |    |    |    |
| წლიური გენერაციის შეფასება  |  |   |   |    |    |    |
| ტოპოგრაფია  |  |   |   |    |    |    |
| ქსელთან მიერთების კვლევა  |  |   |   |    |    |    |
| მზის სადგურის სქემის ოპტიმიზება   |  |   |   |    |    |    |
| ალტერნატივების არჩევა ტექნოლოგიისთვის   |  |   |   |    |    |    |
| შიდა შეერთებების დიზაინი  |  |   |   |    |    |    |
| პროექტისთვის საჭირო მიწების განსაზღვრა  |  |   |   |    |    |    |
| გეოლოგია, გეოფიზიკა   |  |   |   |    |    |    |
| ხარჯთაღრიცხვა და ეკონომიკური შეფასება   |  |   |   |    |    |    |
| საბოლოო ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩაბარება   |  |   |   |    |    |    |
| ტექნიკური დიზაინი   |  |   |   |    |    |    |
| შესყიდვებისა და განხორციელების გეგმა  |  |   |   |    |    |    |
| პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული წინადადების წარდგენა მთავრობისთვის           |  |   |   |    |    |    |
| გარემოზე ზემოქმედების და სოციალური რისკების შეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა |  |   |   |    |    |    |
| საჯარო განხილვის ჩატარება და შედეგების წარდგენა                                       |  |   |   |    |    |    |





## საქართველოს მთავრობის განკარგულება


№82 2017 წლის 24 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და სს „კავკასიის მზის კომპანიას“ შორის  
„ქსნის მზის ელექტროსადგურის“ თაობაზე დასაადები ურთიერთგაგების  
მემორანდუმის შესახებ

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და სს „კავკასიის მზის კომპანიას“ შორის „ქსნის მზის ელექტროსადგურის“ თაობაზე დასაადები ურთიერთგაგების მემორანდუმი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ურთიერთგაგების მემორანდუმს, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი



174

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010179964565717

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა, ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№188

12 / იანვარი / 2017 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის  
მინისტრის მოადგილეს,  
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2017 წლის 06 იანვრის № 04/94 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასა და სს „კავკასიის შხის კომპანიას“ შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების შემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ალექსანდრე ბარამიძე



ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო  
(არაკომერციული) იურიდიული პირების  
რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16147167, 27/10/2016 11:42:24

სუბიექტი

|   |  |
|---|--|
| საფირმო სახელწოდება:  | სს კავკასიის მზის კომპანია   |
| სამართლებრივი ფორმა:  | სააქციო საზოგადოება  |
| საიდენტიფიკაციო ნომერი:   | 404521978  |
| რეგისტრაციის ნომერი,<br>თარიღი:   | 27/10/2016   |
| მარეგისტრირებელი<br>ორგანო:   | სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო   |
| იურიდიული მისამართი:  | საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დავით<br>აღმაშენებლის გამზირი, №79 |
| დამატებითი ინფორმაცია:  |  |
| ელ. ფოსტა:  | info@csc.com.ge  |
| დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი. |  |

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიობის პროცესის  
მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- სამეთვალყურეო საბჭო  
თავმჯდომარე/წევრი: 01026007516, ავთანდილ ნამიჩიშვილი  
თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: 20001008227, ეკატერინა შავგულიძე  
წევრი: 01024005565, ირაკლი გილაური

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- გენერალური დირექტორი - 01032003266, გიორგი ბეჟუაშვილი

ყადალა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მომრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- 
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
  - ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
  - ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
  - კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
  - საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
  - თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)